სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
ხელშეკრულება №181

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. ბათუმი 21 დეკემბერი 2017 წ.

ხელშეკრულების მხარეები:

შპს ,,ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი'' (შემდგომში ,,**შემსყიდველი**'') წარმოდგენილი მისი დირექტორი **მინდია კახიძე;**

შპს გიო-2015" (ს/კ 445456293; შემდგომში ,,**მიმწოდებელი**''), წარმოდგენილი დირექტორი **რუსლან გათენაძე;**

ორთავე ერთად ,,**მხარეებად**" წოდებულნი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის შედეგად ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. "მიმწოდებელი" - პირი, რომელსაც აქვს შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობის სურვილი ან რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6. ,,მომსახურება'' - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: "შემსყიდველი ორგანიზაციის" კუთვნილი 2009 წელს გამოშვებული „ლენდროუვერ დეფენდერი"-ს მარკის ავტომანქანებისათვის, სახ. ნომერი DDQ-024, DDQ-025, DDQ-026 და DDQ-027 დიზელის ძრავის ზეთის (10 W-40), ხიდის და ჰიდრავლიკის (ATF) ზეთების და მუხრუჭის სითხის შესყიდვა დანართი N1-ის შესაბამისად.

2.2 კლასიფიკატორის კოდი: **09200000**.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **164 (ასსამოცდაოთხი)** ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს **(სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები და შპს სახსრები)** მიწოდებიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის, ანგარიშ–ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი გამოვლენიდან/შეტყობინებიდან 3 (სამი) დღის ვადაში.

6. მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის შესყიდვის ადგილად განისაზღვრება მიმწოდებლის მისამართი.

6.2 საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან **2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით,** შემსყიდველის მოთხოვნიდან 2 დღის განმავლობაში.

7 მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) საქონლის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია: მოთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხისთ და სრული მოცულობით, ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდება, აღმოფხვრას ნაკლი ან შეცვალოს იგი ახლით გამოვლენიდან/შეტყობინებიდან 3 (სამი) დღის ვადაში.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.02 %.

8.2.იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი

ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ორი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს **2018 წლის 31 იანვრის** ჩათვლით.

14. მხარეთა რეკვიზიტები

14.1 „მხარეები" ვალდებულნი არიან, რეკვიზიტების ცვლილებები წერილობითი ფორმით აცნობონ ერთმანეთს.

„შემსყიდველი"

შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო
დახმარების ცენტრი"
საიდენტიფიკაციო კოდი: 245426490
მისამართი: ქ. ბათუმი, ალ.პუშკინის ქ.N154
ელ. ფოსტა: batumi03@gmail.com
ტელეფონი: +0422 25 87 03;
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღები ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი"
ბათუმის ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის GE92TB4457736020100006

დირექტორი
მინდია ჯახიძე

„მიმწოდებელი"

შპს „ გიო-2015"
საიდენტიფიკაციო კოდი: 445456293
იურიდ. მის: ბათუმი, პ.რურუას ქ., №3, ბ № 25;
ფაქტ. მის: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ.N21;
ელ. ფოსტა: merabi1969@mail.ru ;
ტელეფონი: +995 555 02 01 57;
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღები ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი"
ბათუმის ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშისN GE85TB7844236080100004

დირექტორი
რუსლან გათენაძე

დანართი N1

ქ. ბათუმი 21 დეკემბერი 2017 წ.

ხელშეკრულება N 181

N	შესასყიდი საქონელი		
	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	საქონლის ღირებულება
1	დიზელის ძრავის ზეთი 10 W-40	ლიტრი	14 ლარი
2	სამუხრუჭე სითხე (250 მლ.)	ლიტრი	5 ლარი
3	ხიდის ზეთი	ლიტრი	10 ლარი
4	ჰიდრავლიკის ზეთი	ლიტრი	10 ლარი

მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო
დახმარების ცენტრი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 245426490
მისამართი: ქ. ბათუმი, ალ.პუშკინის ქ.N154
ელ. ფოსტა: batumi03@gmail.com
ტელეფონი: +0422 25 87 03;
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღები ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“
ბათუმის ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის GE92TB4457736020100006

დირექტორი
მინდია კახიძე

„მიმწოდებელი“

შპს ,, გიო-2015“
საიდენტიფიკაციო კოდი: 445456293
იურიდ. მის: ბათუმი, პ.რურუას ქ., №3, ბ № 25;
ფაქტ. მის: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ.N21;
ელ. ფოსტა: merabi1969@mail.ru ;
ტელეფონი: +995 555 02 01 57;
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღები ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“
ბათუმის ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის№ GE85TB7844236080100004

დირექტორი
რუსლან გათენაძე